სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტთა სასწავლო საველე-გეოლოგიური პრაქტიკა ბოლნისის მუნიციპალიტეტში

ა.წ. 19 ივლისს, სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის გეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მეორე კურსის სტუდენტები გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორის, სულხან გველესიანისა და აკადემიური დოქტორის, ნინო ჯაფარიძის, ხელმძღვანელობით სასწავლო-საველე გეოლოგიურ პრაქტიკაზე გაემგზავრნენ ბოლნისის მუნიციპალიტეტში.

სტუდენტები ათდღიანი პრაქტიკის განმავლობაში გაიღრმავებენ აუდიტორიებში მიღებულ თეორიულ ცოდნას ბოლნისის რეგიონის მრავალფეროვანი გეოლოგიის შესწავლით, გაეცნობიან და გამოიმუშავებენ საველე სამუშაოებისათვის საჭირო პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს.

სასწავლო პრაქტიკის დაფინანსება განხორციელდა გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტის (დეპარტამენტის უფროსი, ნოდარ ფოფორაძე) თვითდაფინანსების ცენტრში შემოსული თანხებით.

სტუდენტები ორი დღის განმავლობაში გაეცნობიან მადნეულისა და საყდრისის საბადოების გეოლოგიას, დაათვალიერებენ შპს „RMG Gold”-ისა და სს „RMG Cooper”-ის საწარმოებში მიმდინარე გეოლოგიურ, ტექნოლოგიურ, ლაბორატორიულ და ეკოლოგიურ

პროცესებს; მოინახულებენ ფახრალოს (ტალავერის) ტუფის უნიკალურ საბადოსა და ქვის გადამამუშავებელ ქარხანას.

გეოლოგიური მარშრუტები დაგეგმილია ფოლადაურის, ხრამისა და მაშავერას ხეობებში.

ათდღიანი პრაქტიკის დასრულების შემდეგ, სტუდენტების ნაწილი დარჩება ერთთვიან სტაჟირებაზე შპს „RMG Gold”-სა და სს „RMG Cooper”-ში, აღნიშნულ საწარმოებთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში.